ძალაში შესვლის თარიღი: 13.03.2025 წ

წინამდებარე ზოგადი წესები და პირობები განსაზღვრავს Bolt აპლიკაციის გამოყენებას და გამოყენების წესებს და პირობებს, რომლებიც მგზავრებს მძღოლებთან აკავშირებს, რათა დაეხმაროს მათ ქალაქებში უფრო ეფექტურად გადაადგილებაში.

Bolt აპლიკაციის გამოყენებისათვის საჭიროა რომ დაეთანხმოთ ქვემოთ ჩამოთვლილ წესებსა და პირობებს:

1. **განმარტებები**
2.
    1. **Bolt -** (ასევე მოხსენიებული როგორც "ჩვენ" ან "ჩვენი") – Bolt Operations OÜ ესტონეთის რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული კერძო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომლის რეგისტრაციის კოდია 14532901, რეგისტრირებული ოფისის მისამართია: ვანა-ლოუნა 15, ტალინი 10134 ესტონეთის რესპუბლიკა.
    2. **Bolt სერვისები -** სერვისები, რომლებსაც Bolt გთავაზობთ, Bolt პლატფორმის უზრუნველყოფა და შენარჩუნება, აპლიკაციის შიგნით/ელექტრონული გადახდის სისტემის გამართვა, მომხმარებელთა მხარდაჭერის უზრუნველყოფა, კომუნიკაცია სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერსა ან ნებისმიერ უფლებამოსილ პირს შორის და სხვა მსგავსი სერვისები.
    3. **Bolt აპლიკაცია -** სმარტფონი/ელექტრონული აპლიკაცია სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერებისთვის.
    4. **Bolt პლატფორმა** - ტექნოლოგია, რომელიც აკავშირებს მგზავრებს მძღოლებთან, რათა ქალაქში გადაადგილება გახდეს მეტად ეფექტური.
    5. **მძღოლი** - პირი, რომელიც იყენებს Bolt პლატფორმას სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერის სახელით.
    6. **მგზავრი** - ადამიანი, რომელიც ითხოვს სატრანსპორტო მომსახურებას Bolt App Platform-ის გამოყენებით/მეშვეობით.
    7. **ტარიფი** - საფასური, რომელიც მგზავრმა უნდა გადაუხადოს სატრანსპორტო მომსახურების მიმწოდებელს სატრანსპორტო მომსახურების გაწევისთვის.
    8. **აპლიკაციით გადახდა** - ბარათები, ოპერატორის ბილინგი და სხვა გადახდის მეთოდები, რომელსაც მგზავრი იყენებს Bolt აპლიკაციის საშუალებით ტრანსპორტირების სერვისის საფასურის გადასახდელად.
    9. **Tip** - მგზავრის სურვილით, მისი შეხედულებისამებრ, მადლიერების ნიშნად დატოვებული დამატებითი თანხა.
3. **Bolt აპლიკაციის გამოყენება**
4.
    1. Bolt უზრუნველყოფს ინფორმაციულ საზოგადოებრივ სერვისს Bolt აპლიკაციის მეშვეობით, რომელიც მას საშუალებას აძლევს, როგორც შუამავალმა ერთმანეთს დააკავშიროს მგზავრები და მძღოლები. სატრანსპორტო მომსახურება უზრუნველყოფილია მძღოლების მიერ (თქვენთან გაფორმებული) კონტრაქტის საფუძველზე მგზავრების გადაყვანის შესახებ. მძღოლები უზრუნველყოფენ სატრანსპორტო მომსახურებას დამოუკიდებლად (როგორც პირადად, ისე კომპანიის მეშვეობით), როგორც ეკონომიკური და პროფესიული მომსახურების მიმწოდებლები.

მძღოლები, როგორც სატრანსპორტო სერვისების მიმწოდებლები, პასუხისმგებელნი არიან თქვენსა და მძღოლს შორის დადებული ხელშეკრულების შესრულებაზე და შეიძლება პასუხისმგებელი იყვნენ მძღოლის უხეში დაუდევრობით გამოწვეული შედეგების მიმართ, როგორიცაა გარდაცვალება, ჯანმრთელობის ან სხვა სახის დაზიანება, თუ ასეთი გარემოებები სახეზე იქნება მძღოლის ქმედების ან უმოქმედობის შედეგად. Bolt არ ახორციელებს სატრანსპორტო მომსახურებას და ის არანაირად არ არის პასუხისმგებელი მგზავრსა (თქვენ) და მძღოლს შორის დადებული ხელშეკრულების შესრულებაზე. მძღოლებისა და მათი სატრანსპორტო სერვისების შესახებ მონაცემები ხელმისაწვდომია Bolt App-ში, მგზავრობის ქვითრები იგზავნება მგზავრის პროფილზე მითითებულ ელ-ფოსტის მისამართზე.

2. გზავრი (თქვენ) აფორმებს ხელშეკრულებას მძღოლთან, Bolt-ის აპლიკაციით ტრანსპორტირების მომსახურების მიღებაზე. Bolt აპლიკაციის გამოყენებისას შეგიძლიათ აირჩიოთ სატრანსპორტო მომსახურებისათვის მძღოლისთვის პირდაპირ გადახდა, ან გამოიყენოთ Bolt აპლიკაციის მეშვეობით გადახდა. Bolt ბიზნეს-მომსახურებისთვის საფასურის გადახდა ხდება ცალკე ხელშეკრულებით. საკომისიო თანხა მოიცავს კანონით გათვალისწინებულ გადასახადებს. საკომისიო შეიძლება შეიცავდეს სხვა საკომისიო გადასახადებს, გადასახადებს და/ან ჯარიმებს, მათ შორის ლოდინის საკომისიოს, დაჯავშნის მოსაკრებელს, მუნიციპალური გზებით სარგებლობისთვის დადგენილ გადასახადს, აეროპორტის მოსაკრებელს, ან ნაწილ-ნაწილ გადახდისთვის დადგენილ გადასახადს. თუ სურვილი გექნებათ, შეგიძლიათ Tip დაუტოვოთ მძღოლს პირადად, ან Bolt-ის აპლიკაციით გადახდის მეთოდის გამოყენებით. ვენ ვიტოვებთ უფლებას მოვახდინოთ Tip-ის მაქსიმალური ღირებულების შეზღუდვა.
3. Bolt აპლიკაციის ინსტალაციისას, მომხმარებლის მობილური ტელეფონის ნომერი დაკავშირებულია შესაბამისი მომხმარებლის ანგარიშთან/ექაუნთთან და ასევე, დამატებულია მონაცემთა ბაზაში. თუ აღარ იყენებთ თქვენს მობილურ ნომერს, უნდა შეატყობინოთ Bolt-ს 7 (შვიდი) დღის ვადაში, რათა ანონიმური გავხადოთ თქვენი ანგარიშის მონაცემები. თუ ნომრის ცვლილების შესახებ არ შეგვატყობინებთ, თქვენს მობილურ ოპერატორს შეუძლია იგივე მობილური ნომრის სხვა პირისთვის გადაცემა და Bolt აპლიკაციის გამოყენებისას მას შეეძლება იხილოს თქვენი მონაცემები.
4. Rooting-ში, jailbreaking-ში ჩართვა ან ოპერაციული სისტემის დონეზე ტექნიკის მოდიფიკაცია ნებისმიერი ფორმით, რომელიც ეწინააღმდეგება მწარმოებლის მითითებებს და უქმნის მოწყობილობას ტექნიკურ საფრთხეს. თქვენ აღიარებთ, რომ ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი რაიმე ზარალზე, რომელიც დაკავშირებულია ასეთი მოდიფიცირებული მობილური მოწყობილობის გამოყენებასთან და რომ ჩვენ არ გვაქვს ვალდებულება, მხარი დავუჭიროთ ასეთი მოწყობილობის გამოყენებას.
5. თქვენ არ გაქვთ უფლება, მისცეთ რომელიმე სხვა მხარეს შესაძლებლობა გამოიწვიოს რაიმე პროგრამის და/ან სკრიპტის გაშვება Bolt-ის მობილური აპლიკაციების და/ან ვებსაიტების ან მონაცემების ამოღების, ინდექსირების, კვლევის ან სხვაგვარად მონაცემთა მოპოვების მიზნით.
6. თქვენ უნდა იყოთ მინიმუმ 18 წლის, რომ მიიღოთ წვდომა Bolt აპლიკაციაზე აღნიშნული ასევე მნიშვნელოვანია, რადგან წინამდებარე წესები და პირობები გავრცელდეს თქვენზე. გარდა ამისა, თქვენ უნდა უზრუნველყოთ, რომ თქვენი სახელით Bolt App-ის მეშვეობით იმგზავრებს მხოლოდ 18 წელს მიღწეული პირი. მძღოლს უფლება აქვს უარი თქვას მგზავრობაზე იმ პირთა მიმართ, რომლებიც არ არიან 18 წელს მიღწეული.
7. Bolt-ის პლატფორმაზე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მგზავრებს არ აქვთ უფლება ატარონ/გადაიტანონ აკრძალული ნივთები Bolt აპლიკაციის გამოყენებისას,

თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული მოქმედ კანონმდებლობაში. მძღოლს შეუძლია უარი თქვას აკრძალული ნივთების გადატანაზე. Bolt-ს შეუძლია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შეკვეთა იმ შემთხვევაში თუ სახეზეა სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ნივთების გადატანა. აკრძალული ნივთების ნებისმიერი არაავტორიზებული გამოყენება შეიძლება ეცნობოს შესაბამის სახელმწიო ორგანოებს. აკრძალული ელემენტები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ:

8.
    1. ცეცხლსასროლი იარაღი და მათი ნაწილები, საბრძოლო მასალა, საბრძოლო იარაღი, სხვა ნივთები, რომლებიც სპეციალურად შექმნილია თავდასხმისა და თავდაცვისთვის;
    2. აალებადი, ფეთქებადი და რადიოაქტიური ან სხვა მაიონებელი ნივთიერებები, საბრძოლო მასალები, გაზი, ინფექციური ნივთიერებები, შხამიანი ან კოროზიული მასალები, რომლებმაც თავიანთი ბუნებით შეიძლება საფრთხე შეუქმნან გარემოს;
    3. ნარკოტიკები და სხვა ფსიქოტროპული ნივთიერებები, რომლებიც ექვემდებარება სპეციალურ კონტროლს კანონმდებლობის შესაბამისად;
    4. ნებისმიერი სხვა ნივთი, რომლის გადატანა ან ტრანსპორტირება კანონით დაუშვებელია და ნივთები, რომელთა გადატანა ან ტრანსპორტირება შეუძლებელია დამატებითი ლიცენზიების და ნებართვების გარეშე.
9. თუ მგზავრების მიერ Bolt-ზე ან Bolt-ის პლატფორმაზე მოწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია უკანონოდ ითვლება ან არღვევს წინამდებარე ზოგად წესებსა და პირობებს, Bolt-ს უფლება აქვს:
10.
    1. წაშალოს, გაუუქმოს წვდომა პლათფორმაზე;
    2. შეაჩეროს, შეწყვიტოს ან შეზღუდოს ნებისმიერი ფულადი გადახდა Bolt-ისგან;
    3. შეაჩეროს ან შეწყვიტოს Bolt-ის სერვისების მიწოდება სრულად ან ნაწილობრივ; და
    4. შეაჩეროს და/ან დახუროს (თქვენი) Bolt მომხმარებლის ანგარიში.

5. **პრომო კოდები**
6.
    1. Bolt უფლებამოსილია, გამოგიგზავნოთ პრომო კოდები სარეკლამო აქციის საფუძველზე. პრომო კოდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მგზავრობის საფასურის გადახდის ან/და მესამე მხარის მომსახურებასთან დაკავშირებული შეღავათის გადახდის მიზნით, პრომო კოდები ექვემდებარება ნებისმიერ დამატებით პირობებს, რომლებიც დადგენილია თითოეული პრომო კოდის საფუძველზე. პრომო კოდის ვადის გასვლის თარიღები აისახება აპლიკაციაში, როდესაც თქვენს ანგარიშზე პრომო კოდს მიუთითებთ.
    2. თუ თქვენი მგზავრობის საფასურის თანხა გადააჭარბებს თქვენი გადაადგილეებისთვის გამოყოფილი კრედიტის ოდენობას, ბალანსი ავტომატურად დაიქვითება თქვენი ანგარიშების გადახდის მეთოდის მიხედვით. ანალოგიურად, პრომო კოდის კრედიტი ვრცელდება მხოლოდ თითო მგზავრობაზე და არ გადადის მომდევნო მგზავრობაზე, შესაბამისად, იკარგება. ერთ მგზავრობაზე შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ერთი პრომო კოდი.
    3. Bolt უფლებას იტოვებს, ნებისმიერ დროს გააუქმოს ნებისმიერი პრომო კოდი ნებისმიერ მიზეზით. ეს მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი გარემოებებით: თუ Bolt მიიჩნევს, რომ კოდები გამოიყენება უკანონო ან თაღლითური გზით, შეცდომით არის გაცემული, ან ვადა ამოიწურა.

7. **Bolt აპლიკაციით გადახდები**

8.

1. გამომდინარე იქიდან, თუ რა გადახდის მეთოდები არის ხელმისაწვდომი მგზავრობის ლოკაციაზე, ტრანსპორტირების მომსახურების საფასური შეგიძლიათ გადაიხადოთ ბარათით, მობილური გადახით ან Bolt-ის აპლიკაციაზე ხელმისაწვდომი სხვა მეთოდით (მაგალითად Bolt Business). თქვენ აცნობიერებთ, რომ ყველა მძღოლმა, როგორც სატრანსპორტო მომსახურების მიმწოდებელმა, უფლება მისცა Bolt-ს, იმოქმედოს როგორც მისი კომერციული აგენტი სატრანსპორტო მომსახურების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. Bolt-ს უფლება აქვს წარმოდგენილი იყოს როგორც შუამავალი თქვენსა და მძღოლს შორის დადებულ სატრანსპორტო მომსახურების ხელშეკრულებაში. მათ შორის, თქვენ იაზრებთ Bolt-ის უფლებას, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მგზავრობის ტარიფისა და სხვა გადასახადების შეგროვებით, რომლებიც გადასახდელია თქვენს მიერ აპს-შიდა გადახდის მეთოდით, სატრანსპორტო მომსახურების წინასწარი შეთანხმების შესაბამისად. მძღოლის წინაშე თქვენი, როგორც მგზავრის ვალდებულება შესრულდება, როდესაც შესაბამისი გადახდა ჩაირიცხება Bolts-ის საბანკო ანგარიშზე. თქვენ, როგორც მგზავრი, პასუხისმგებელი ხართ გადახდაზე და საკმარისი თანხის ხელმისაწვდომობაზე.
2. ურვილის შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ Tip გადაუხადოთ მძღოლს, Bolt-ის აპლიკაციით გადახდის მეთოდის გამოყენებით. Tip-ის გადახდა შესაძლოა მოხდეს აპლიკაციით, Bolt-ის მიერ ამ მიზნით ავტორიზებული საშუალებებით. Bolt არ იღებს საკომისიოს დატოვებული Tip-დან. მძღოლს ერიცხება Tip-ის სრული ოდენობა, შესაძლო გადასახადების გამოკლებით. Bolt იტოვებს უფლებას შეაჩეროს Tip-ის გადარიცხვა, თუ Tip-თან დაკავშირებული გადახდა დაკავშირებულია საეჭვო, არალეგალურ ქმედებასთან, ემსახურება მიზანს, რომელიც ცდება მიღებული სერვისით გამოწვეულ კმაყოფილებას, ან კონფლიქტში მოდის Bolt-ის წესებსა და პირობებთან.
3. საკრედიტო ბარათით და მობილური გადახდისას Bolt გზავნის მიღებულ თანხას/გადარიცხვას მძღოლთან. Bolt-მა შესაძლოა მოითხოვოს დამატებითი დეტალები გადახდის მეთოდის დასამოწმებლად.
4. Bolt აპლიკაციის მეშვეობით სატრანსპორტო მომსახურებისთვის გადახდასთან დაკავშირებული გადასახადების მიღებისას, Bolt-ი არ არის პასუხისმგებელი მესამე მხარის ხარჯების ანაზღაურებაზე (მობილური ოპერატორები, საბანკო გადასახადი და ა.შ.). ამ სერვისების პროვაიდერებს შეუძლიათ დაგაკისროთ დამატებითი გადასახადები Bolt აპლიკაციით გადახდასთან დაკავშირებით. Bolt-ს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ასეთ გადასახადებზე და პასუხისმგებლობას იხსნის აღნიშნულთან დაკავშირებით. თქვენს მიერ გამოყენებული გადახდის მეთოდი შესაძლოა დაექვემდებაროს შესაბამისი მესამე მხარის გადახდის მომსახურების პროვაიდერის დამატებით პირობებს; გთხოვთ, გაეცნოთ წინამდებარე პირობებს თქვენი გადახდის მეთოდის გამოყენებამდე.
5. Bolt პასუხისმგებელი იქნება საკრედიტო ბარათით გადახდის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით და ბარათის მფლობელებს შესთავაზოს მხარდაჭერა პრობლემების გადაჭრაში. საკრედიტო ბარათებითა და მობილურ გადახდებთან დაკავშირებულ დავებზე გადაწყვეტილების მიღება შესაძლოა მოხდეს Bolt-ის გავლით. საკრედიტო ბარათითა და მობილური გადახდის Bolt მხარდამჭერი ჯგუფის საკონტაქტო მონაცემებია: georgia@bolt.eu ელექტრონული ფოსტის, ან აპლიკაციის მეშვეობით შემოსულ განაცხადზე პასუხის მიღება ხდება ერთ სამუშაო დღეში. Bolt გადაჭრის საკრედიტო ბარათებთან და მობილურ გადახდასთან დაკავშირებული ყველა პრობლემას ორი სამუშაო დღის განმავლობაში.

6. წინასწარ განსაზღვრული საფასური. აპლიკაციამ შესაძლოა შემოგთავაზოთ, რომ წინასწარ დაეთანხმოთ ფიქსირებულ საფასურს მძღოლის მიერ გაწეული მომსახურებისთვის (ე.ი. წინასწარ განსაზღვრული საფასური). წინასწარ განსაზღვრული საფასურის შესახებ ინფორმაციას იღებთ Bolt-ის აპლიკაციის საშუალებით, სანამ შეუკვეთავთ მგზავრობას. წინასწარ განსაზღვრული საფასური აღარ იმოქმედებს, თუ მოხდება დანიშნულების ცვლილება მგზავრობის დროს, გზებზე არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე გაიზრდება დანიშნულების მისამართზე მისვლის დრო, ან სხვა გაუთვალისწინებული ფაქტორები იმოქმედებს მგზავრობაზე (მაგალითად, შერჩეული მარშრუტი, სადაც ამოქმედებულია ზონალური დანამატი).
7. ამ ზოგადი წესებისა და პირობების გაცნობით თქვენ აცხადებთ და იძლევით გარანტიას, რომ ყურადღებით შეისწავლეთ, გესმით შინაარსი და ეთანხმებით Bolt ბალანსის წესებსა და პირობებს.
8. როდესაც იყენებთ Bolt Business-ის გადახდის მეთოდს, პირი ან კომპანია, რომელმაც ის დააყენა, დაფარავს მომსახურების ხარჯებს (როგორიცაა ლოდინში გატარებული დრო, ფასიანი გადასახადები, დამატებითი გადასახადები, როგორიცაა დაჯავშნის საკომისიო, ადგილობრივი გადასახადები, აეროპორტის საფასური, გადახდის გაყოფის დამუშავების საკომისიო და გაუქმების საფასური). ნებისმიერი სხვა საკომისიოზე, რომელიც მოქმედებს, როგორიცაა ამ პირობებში ნახსენები ზიანი ან ჯარიმები, თქვენც და მესამე მხარეც თანაბრად ხართ პასუხისმგებელნი. ეს ნიშნავს, რომ თქვენ, მესამე მხარეს ან ორივე თქვენგანს შეიძლება წარმოგეშვათ ვალდებულება გადაიხადოთ საფასურის ნაწილი. მესამე მხარეს ასევე აქვს იგივე უფლებები, რაც თქვენ საკომისიოებთან დაკავშირებით: ისინი მიიღებენ ინვოისებს ან ქვითრებს, მათ უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს და მოითხოვონ ინფორმაცია Bolt Business-ის გადახდის მეთოდთან დაკავშირებული გადასახადებისა და სერვისების შესახებ.

9. **ტრანსპორტირების გამოძახება და გამოძახების გაუქმება**
10.

1. თუ Bolt აპლიკაციის მომხმარებელი უკვეთავს მგზავრობას და მძღოლი უდასტურებს მიღებას, მაშინ ეს მიჩნეულია, როგორც დადასტურებული შეკვეთა.
2. როდესაც მძღოლი თანხმობას განაცხადებს თქვენს ტრანსპორტირებაზე, ცალკე ხელშეკრულებას გააფორმებთ მძღოლთან მგზავრობასთან დაკავშირებული პირობებით, რომლებსაც მძღოლთან შეათანხმებთ. Bolt არ ასრულებს ტრანსპორტირებას და იგი არ წარმოადგენს მხარეს თქვენს და მძღოლს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში.
3. შეკვეთილი სატრანსპორტო სერვისის გაუქმება ხდება მაშინ, როდესაც მძღოლი დაეთანხმა თქვენს მოთხოვნას და თქვენ ამის შემდგომ გააუქმებთ ან უარს იტყვით ტრანსპორტირების სერვისის მიღებაზე. თუ სატრანსპორტო სერვისის მოთხოვნა გაუქმებულია მძღოლის მიერ გამოძახების მიღების შემდეგ სამ (3) წუთზე მეტი ხნის განმავლობაში, თქვენ მოგიწევთ გადაიხადოთ გაუქმების საფასური მოთხოვნის დროს Bolt App-ში განსაზღვრული/მითითებული ოდენობით.
4. თუ თქვენ გააუქმებთ სატრანსპორტო სერვისის მოთხოვნას რამდენჯერმე თანმიმდევრულად 24 საათის განმავლობაში, ჩვენ შეიძლება დროებით დავბლოკოთ თქვენი Bolt მომხმარებლის ანგარიში გაფრთხილებისთვის. მრავალი ასეთი გაფრთხილების მიღების შემდეგ, ჩვენ შეიძლება შევაჩეროთ თქვენს ანგარიშზე წვდომა უფრო დიდი ვადით (მაგ. 6 თვით). ამ პერიოდის შემდეგ შეგიძლიათ მოითხოვოთ თქვენი Bolt მომხმარებლის ანგარიშის ხელახლა გააქტიურება და თქვენი განაცხადი განიხილება Bolt-ის მიერ.
5. როდესაც მძღოლი აცნობებს მგზავრს მანქანის დანიშნულების ადგილზე მისვლის შესახებ და მგზავრი/მგზავრები, ვისთვისაც ტრანსპორტი იყო შეკვეთილი, არ მივლენ

მანქანასთან ხუთი (5) წუთის განმავლობაში, როგორც ეს მითითებულია Bolt აპლიკაციაში, მოთხოვნა ჩაითვლება გაუქმებულად. შესაბამისად, თქვენ მოგიწევთ გადაიხადოთ გაუქმების საფასური მოთხოვნის დროისთვის Bolt App-ში მითითებული ოდენობით. გარკვეულ შემთხვევაში მძღოლმა შესაძლოა გააუქმოს თქვენი შეკვეთის მოთხოვნა, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ Bolt არ არის პასუხისმგებელი ასეთ შემთხვევებზე.

6. როდესაც მძღოლი ადგილზე გამოცხადდება და შეტყობინებას გიგზავნით აღნიშნულის შესახებ, Bolt აპლიკაციამ შესაძლოა დაიწყოს გადასახადის დარიცხვა მოლოდინის დროისთვის, Bolt აპლიკაციაში განსაზღვრული ტარიფების შესაბამისად.
7. იმ შემთხვევაში, თუ მოითხოვეთ ტრანსპორტის მომსახურება Bolt აპლიკაციის გამოყენებით და ზიანი მიაყენეთ მძღოლის ავტომანქანას ან მის დეტალებს (მაგ. ავტომანქანის დაზიანება ან დალაქავება, ან ავტომანქანაში არასასიამოვნო სუნის წარმოქმნა), მძღოლი უფლებამოსილი იქნება, მოგთხოვოთ 100 (ასი) ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა და კომპენსაცია, თუ ზიანის ოდენობა აღემატება ჯარიმის ოდენობას. თუ ჯარიმას არ გადაიხდით და/ან არ აანაზღაურებთ ზარალს, Bolt უფლებამოსილია, საჩივარი შეიტანოს მძღოლის სახელით.
8. ყველასთვის უსაფრთხო და საიმედო Bolt პლატფორმის უზრუნველსაყოფად, ჩვენ შეიძლება მივიღოთ კონკრეტული ზომები თქვენს წინააღმდეგ, მაგალითად, შეგიჩეროთ Bolt app-ის და Bolt პლატფორმის გამოყენება 6 თვით, ჩვენი ბაზრის ქცევის სახელმძღვანელო მითითებების დანაწესების შესაბამისად. Bolt აპლიკაციის გამოყენებით თქვენ ადასტურებთ, რომ წაიკითხეთ ბაზრის ქცევის სახელმძღვანელო მითითებების დანაწესები მგზავრებისთვის და ეთანხმებით მას.
9. Bolt App-მა შეიძლება გირჩიოთ მგზავრობის კონკრეტული ტიპი, ისეთი ფაქტორების საფუძველზე, როგორიცაა მგზავრობის ღირებულება, რამდენი დრო დასჭირდება მანქანის მოსვლას და თქვენი წარსული პრეფერენციები მგზავრობის კატეგორიებთან დაკავშირებით. თუმცა, თქვენ არ ხართ ვალდებული აირჩიოთ შემოთავაზებული კატეგორია, არჩევანი სრულად თქვენზეა დამოკიდებული.

11. **Bolt აპლიკაციის გამოყენების ნებართვა**

12.

1. თუ დაიცავთ წინამდებარე ზოგად პირობებს, თანხმობას ვაცხადებთ, მოგანიჭოთ Bolt აპლიკაციაზე წვდომის და სარგებლობის უსასყიდლო, შექცევადი, არა-ექსკლუზიური უფლება წინამდებარე ზოგადი პირობების, კონფიდენციალურობის შეტყობინების და აპლიკაციის მოქმედი პირობების შესაბამისად. უფლება არ გაქვთ, გადასცეთ ან ქვე-ლიცენზია გასცეთ Bolt აპლიკაციის გამოყენების უფლებაზე. იმ შემთხვევაში, თუ Bolt აპლიკაციით სარგებლობის უფლება გაგიუქმდებათ, ავტომატურად გაუქმდება შესაბამისი არა-ექსკლუზიური ლიცენზიაც.

13. **პასუხისმგებლობა**

14.

1. რადგან Bolt აპლიკაცია წარმოადგენს საინფორმაციო საზოგადოების სერვისს (კომუნიკაციის საშუალება) მგზავრებს და მძღოლებს შორის, არ შეგვიძლია გარანტია გავცეთ, ან პასუხისმგებლობა ავიღოთ სატრანსპორტო მომსახურების დროს ხარისხზე ან დეფექტების არარსებობაზე. რადგან Bolt აპლიკაციით სარგებლობა სატრანსპორტო მომსახურების მოთხოვნის მიზნით დამოკიდებულია მძღოლების ქცევაზე, Bolt გარანტიას არ იძლევა, რომ ყოველთვის გექნებათ სატრანსპორტო მომსახურების გაწევის შემოთავაზება.
2. Bolt აპლიკაცია არ გთავაზობთ ან არ ასრულებს საბროკერო მომსახურებას მგზავრებისთვის სატრანსპორტო მომსახურების გაწევის მიზნით. იგი არ წარმოადგენს სატრანსპორტო სააგენტოს, რომელიც ტრანსპორტირების პროვაიდერებისთვის

მგზავრების მოძიებას უზრუნველყოფს. Bolt აპლიკაცია გამოიყენება როგორც სატრანსპორტო მომსახურების ორგანიზების საშუალება.

3. კლიენტის უფლება თანხის დაბრუნებაზე არ მოქმედებს Bolt აპლიკაციით გაკეთებული შეკვეთების დროს. სატრანსპორტო სამსახურისგან თანხის დაბრუნების მოთხოვნა არ გამოიწვევს თქვენს გასვლას ხელშეკრულებიდან, რომლის ფარგლებშიც მოხდა სატრანსპორტო მომსახურების შეკვეთა.
4. Bolt აპლიკაცია მოწოდებულია ,,მზა" და ,,უცვლელი" სახით. Bolt არ აცხადებს, არ იძლევა გარანტიას, რომ Bolt აპლიკაციაზე წვდომა უწყვეტი ან შეცდომისგან დაცული იქნება. პროგრამულ უზრუნველყოფაში დაფიქსირებული ხარვეზების შემთხვევაში ვეცდებით მის შეძლებისდაგვარად სწრაფად აღმოფხვრას, მაგრამ გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ აპლიკაციის ფუნქციონირება შესაძლოა შეზღუდული იყოს შემთხვევითი ტექნიკური პრობლემების გამო და არ შეგვიძლია იმის გარანტირება, რომ აპლიკაცია ყოველთვის იმუშავებს, მაგალითად, საზოგადო საგანგებო მდგომარეობამ შესაძლოა გამოიწვიოს მომსახურების შეფერხება.
5. Bolt, მისი წარმომადგენლები, დირექტორები და თანამშრომლები არ აგებენ პასუხს Bolt აპლიკაციით სარგებლობის, Bolt აპლიკაციით შეთანხმებული მგზავრობის შედეგად თქვენს მიერ განცდილ ზიანზე ან ზარალზე, მათ შორის:
6.
    1. პირდაპირი ან ირიბი ქონებრივი ან ფულადი ზარალი;
    2. მოგების, კონტრაქტების, კონტაქტების, რეპუტაციის დაკარგვა;
    3. ბიზნეს-საქმიანობის შეწყვეტის შედეგად განცდილი ზარალი;
    4. მონაცემების დაკარგვის, ან უზუსტობის შედეგად განცდილი ზიანი;
    5. ნებისმიერი სხვა სახის ზიანი.
7. Bolt შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა გარდაცვალების, პერსონალური დაიანების ან სხვა ზარალის მიყენების შემთხვევაში, რომელიც გამოწვეული იქნება Bolt-ის უხეში დაუდევრობით, იმ შემთხვევაში თუ ასეთი შედეგი პირდაპირ წარმოქმნილი იქნება Bolt-ის ქმედებით ან უმოქმედობით.
8. Bolt-ის ფინანსური ვალდებულება ხელშეკრულების დარღვევასთან დაკავშირებით განისაზღვრება 1400 (ათას ოთხასი) ლარის ოდენობით. თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ ზარალის ანაზღაურება იმ შემთხვევაში, თუ Bolt-მა გამიზნულად დაარღვია ხელშეკრულება. Bolt არ იქნება პასუხისმგებელი მძღოლის ქმედებაზე, ან უმოქმედობაზე, ასევე არ იქნება პასუხისმგებელი მძღოლის მხრიდან მგზავრისადმი მიყენებულ ზიანზე.
9. თანხმობას აცხადებთ, სრულად აუნაზღაუროთ ზარალი და დაიცვათ Bolt, მათი ფილიალი კომპანიები, წარმომადგენლები, თანამშრომლები და დირექტორები ნებისმიერი სახის საჩივრისგან ან დანაკარგისგან (მათ შორის ნებისმიერი სახის პასუხისმგებლობისგან, ზიანისგან, ზარალისგან), რომელიც შესაძლოა მიადგეს მათ თქვენს მიერ Bolt აპლიკაციის გამოყენების შედეგად (მათ შორის მგზავრობები, რომლებიც Bolt აპლიკაციის მეშვეობით განახორციელეთ).
10. Bolt უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ შეგიწყვიტოთ Bolt აპლიკაციით სარგებლობის უფლება, თუ დაარღვევთ წინამდებარე პირობებს ან საჭიროდ ჩავთვლით Bolt ერთიანობის ან მძღოლების უსაფრთხოებისთვის.
11. Bolt-ს შეუძლია დროებით შეწყვიტოს საჩივრებისა და ანგარიშების განხილვა, რომლებიც გამოგზავნილია შიდა საჩივრების განხილვის სისტემის მეშვეობით მგზავრებისა და მძღოლებისგან, რომლებიც ხშირად აგზავნიან საჩივრებს, საჩივრებს, რომლებიც აშკარად უსაფუძვლოა, შეჩერების გარემოებების შეფასებისას Bolt-ი ითვალისწინებს შემდეგს:
12.

1. ერთი თვის განმავლობაში წარმოდგენილ აშკარად უკანონო შინაარსის შემცველი აშკარად უსაფუძვლო შეტყობინებები ან საჩივრები;
2. საჩივარებისა და შეტყობინებების პროპორცია თვის განმავლობაში შემოსულ მთლიან ინფორმაციასთან ფარდობით
3. შეტყობინებების სისტემის, ანუ აღნიშნული მექანიზმების ბოროტად გამოყენების ხარისხი; და
4. (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მომჩივნის განზრახვა წარმოადგინოს აშკარად უსაფუძვლო საჩივრები.

15. **Bolt აპლიკაციის გამოყენების კარგი პრაქტიკა**

16.

1. თქვენ აცნობიერებთ და ეთანხმებით, რომ Bolt უზრუნველყოფს ინფორმაციულ საზოგადოებრივ მომსახურებას Bolt აპლიკაციის მეშვეობით და ის არ მოქმედებს, როგორც სატრანსპორტო მომსახურების მიმწოდებელი ან ბროკერი. შესაბამისად, ნებისმიერი დავა, რომელიც დაკავშირებულია მომხმარებელთა უფლებებთან, საკანონმდებლო ვალდებულებებთან ან სატრანსპორტო მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ მოქმედ კანონებთან, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება, ხარვეზების ან სატრანსპორტო სერვისების ხარისხთან დაკავშირებული საკითხების აღმოფხვრასთან, გადაწყდება მგზავრებსა და სატრანსპორტო მომსახურების მიმწოდებელს შორის სატრანსპორტო მომსახურების მიმწოდებლის ან შესაბამისი საჯარო ორგანოს წესებისა და რეგულაციების შესაბამისად. Bolt-ს შეუძლია დაეხმაროს დავების გადაჭრაში, როგორც სატრანსპორტო მომსახურების მიმწოდებლის კომერციული აგენტი.
2. არადამაკმაყოფილებელი სატრანსპორტო მომსახურების შემთხვევაში (გარდა სერვისის არამატერიალური ხარვეზებისა), თქვენ უფლება გაქვთ: (i) გააუქმოთ ტრანსპორტირების სერვისის მიღება; და/ან (ii) მოითხოვოს მგზავრობის საფასურის ანაზღაურება ან ასეთი სატრანსპორტო სერვისის უფასოდ ჩანაცვლება გონივრულ ვადაში ან ტარიფის შემცირება; და/ან (iii) მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სავარაუდო არადამაკმაყოფილებელი სატრანსპორტო მომსახურების შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი ეკისრება სატრანსპორტო მომსახურების მიმწოდებელს.
3. თქვენ ასევე უფლება გაქვთ შეატყობინოთ სსიპ საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს ტრანსპორტირების მომსახურების დასრულებიდან ორი (2) წლის განმავლობაში არადამაკმაყოფილებელი სატრანსპორტო მომსახურების სერვისის ან თქვენი - მომხმარებლის უფლებების ნებისმიერი დარღვევის შესახებ.
4. გთხოვთ, შეავსოთ გამოხმაურების ფორმა Bolt App-ში. ეს საშუალებას გვაძლევს გავუზიაროთ იდეები მძღოლებს მათი მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად.
5. ჩვენ გვაქვს მოლოდინი, რომ თქვენ იყენებთ Bolt App-ს კეთილსინდისიერად და პატივისცემით მოეკიდებით მძღოლებს, რომლებიც თავიანთ მომსახურებას გთავაზობენ Bolt App-ის მეშვეობით. გარდა ნებისმიერი სხვა უფლებამოსილებებისა, რომლის გამოყენებაც შესაძლოა მოგვიწიოს თქვენ წინააღმდეგ ამ ზოგადი პირობებისა და ჩვენი ბაზრის ქცევის სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად, Bolt იტოვებს უფლებას დახუროს თქვენი Bolt მომხმარებლის ანგარიში, თუ თქვენ დაარღვიეთ ამ ზოგადი წესებისა და პირობების დებულებებს ან თუ თქვენი ქმედებები მავნეა, ე.ი. თქვენი Bolt App-ის ანგარიში შეიძლება გაუქმდეს წინასწარი შეტყობინების გარეშე.
6. Bolt ყველანაირად ეცდება, რომ მხოლოდ იმ მძღოლებმა გამოიყენონ Bolt-ის აპლიკაცია, რომლებიც თავაზიანი არიან მომხმარებლისა და საკუთარი პროფესიის მიმართ. თუმცა, ჩვენ არ გვაქვს გარანტია და შესაძლებლობა ვუზრუნველვყოთ Bolt-ის აპლიკაციის მეშვეობით გაერთიანებული ტრანსპორტირების სერვისის თითოეული

პროვაიდერის მიერ ზემოთ მოცემული კრიტერიუმის დაკმაყოფილება ნებისმიერ დროს.

7. თუ თქვენ განიცდით არასასურველ სატრანსპორტო მომსახურებას, გთხოვთ, აცნობოთ სერვისზე პასუხისმგებელი სატრანსპორტო სერვისის პროვაიდერს, ან ზედამხედველობის ორგანოს ან დაუკავშირდით ჩვენს მომხმარებელთა მხარდაჭერის გუნდს Bolt App-ში. ჩვენ გამოვიყენებთ მაქსიმალურ ძალისხმევას თქვენს შეკითხვებზე პასუხის გასაცემად და/ან თქვენი საჩივრების მოსაგვარებლად.
8. Bolt პლატფორმის უსაფრთხოების შესანარჩუნებლად, Bolt-მა შესაძლოა მოითხოვოს მგზავრებისგან მათი ვინაობის დადასტურება. თუ Bolt-ი ვერ დაადასტურებს მგზავრის ვინაობას, მათი წვდომა Bolt Services-ზე შეიძლება შეჩერდეს გადამოწმების პროცესის დასრულებამდე.

17. **ცვლილებები ზოგად წესებსა და პირობებში**
18.

1. ზოგად პირობებში არსებითი ცვლილებების შეტანის შემთხვევაში შეტყობინებას მიიღებთ ელ-ფოსტით ან Bolt აპლიკაციით. თუ გააგრძელებთ Bolt აპლიკაციით სარგებლობას, მიიჩნევა, რომ თანხმდებით შესწორებებს.

19. **Bolt აპისა და Bolt პლატფორმის გამოყენების ვადა და შეწყვეტა**
20.

1. ეს ზოგადი წესები და პირობები ძალაში შედის Bolt-ის მომხმარებლის ანგარიშზე დარეგისტრირებისთანავე და მოქმედებს მანამ, სანამ არ შეწყდება აღნიშნული თქვენს ან ჩვენს მიერ აქ მოცემული წესების და პირობების შესაბამისად. თუ თქვენ აღარ ეთანხმებით ამ ზოგად წესებსა და პირობებს, მათში შეტანილ ნებისმიერ ცვლილებას, ან Bolt აპის ან Bolt პლატფორმის ნებისმიერ ცვლილებას, დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოთ Bolt პლატფორმის გამოყენება და წაშალოთ Bolt აპი. თუ გსურთ წაშალოთ თქვენი Bolt მომხმარებლის ანგარიში, შეგიძლიათ ამის გაკეთება უფასოდ Bolt App-ში მოთხოვნის გაგზავნით.
2. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი Bolt მომხმარებლის ანგარიში შეჩერებულია ან დაიხურება ჩვენ მიერ, ან თუ თქვენ აირჩევთ თქვენი Bolt მომხმარებლის ანგარიშის დახურვას, Bolt იტოვებს უფლებას წაშალოს თქვენი მომხმარებლის მონაცემები და ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია თქვენს Bolt მომხმარებლის ანგარიშთან. შეწყვეტის შემდეგ, თქვენ დაკარგავთ Bolt პლატფორმაზე წვდომისა და გამოყენების ნებისმიერ უფლებას, მათ შორის თქვენს Bolt მომხმარებლის ინფორმაციზე წვდომის ნებისმიერ უფლებას.
3. თქვენი Bolt-ის მომხმარებლის ანგარიშის შეწყვეტა ან Bolt App-სა და Bolt-ის პლატფორმაზე წვდომის შეჩერება არ გათავისუფლებთ თქვენ რაიმე არსებული, დაუსრულებელი ვალდებულებებისგან, მათ შორის ნებისმიერი გადასახდელისგან, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე ზოგადი წესებისა და პირობების შესაბამისად.

21. **საბოლოო დებულებები**

ზოგადი პირობები რეგულირდება, შექმნილია და მოქმედებს ესტონეთის რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ ზოგად პირობებთან ან ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა ვერ გადაწყდება მოლაპარაკებების გზით, დავა საბოლოოდ მოგვარდება ესტონეთის, ტალინის ჰარჯუს ოლქის სასამართლოს მიერ. იმ შემთხვევაში, თუ ზოგადი დებულებების რომელიმე დებულება ბათილად იქნება ცნობილი, მხარეები ჩაანაცვლებენ მას მიახლოვებით იმავე მიზნის და ეკონომიკური ეფექტის მქონე დებულებით.